13/10/2025

MES 3 25 0001338394

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ- ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლა:
ია გეგელაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლა:
ლორინა ჩხეტია - სკოლის დირექტორი
შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა:
მამუკა მესხიშვილი - სკოლის დირექტორი;
ლელა ფიცხელაური - სკოლის დირექტორის მოადგილე;
სალომე ზარქუა - სკოლის იურისტი
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლა:
ლევან ღურწკაია - სკოლის დირექტორი
შპს ინოვაციების სკოლა:
ქრისტინე კაპანაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა:
ვასილი ქეშელაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ- ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლა:
ა) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატალია ბეიტრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო გავაშელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლა:
ა) ვარდენ ნიქაბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკოლოზ წულაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ტოლია კილასონია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა:
ა) გულნარა ხაბურზანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლა:
ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარი კვანტიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ინოვაციების სკოლა:
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა:
ა) ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია მამისეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.შპს ინოვაციების სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6.სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შპს ინოვაციების, სსიპ-ქალაქ ზუგდიდის N3 და სსიპ-კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლების ადმინისტრაციული წარმოებების ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეებს, ობიექტური მიზეზების გამო, საბჭოს სხდომაზე მოგვიანებით დასწრების შესაძლებლობა არ ექნებოდათ, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მიმართეს ცენტრს და ითხოვეს დღის წესრიგში ცვლილება და მათთან დაკავშირებული საკითხების პირველ, მეორე და მესამე საკითხად გადმოტანა.
საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს ინოვაციების სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ- ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. შპს ინოვაციების სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 07 და 08 აგვისტოს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ შპს ინოვაციების სკოლა სასწავლო პროცესში იყენებდა ვირტუალური რეალობის (VR) სათვალეებს, რომელიც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნიდა მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობისა და მოტივაციის გაძლიერებისათვის. პარალელურად, 3D პრინტერის გამოყენება უზრუნველყოფდა მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების განვითარებას, მათ შორის, კონსტრუქციული აზროვნების, დიზაინისა და ინჟინერული პრობლემების გადაჭრის კომპეტენციების გაღრმავებას. სკოლის შესასვლელში განთავსებული იყო სპეციალური მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია პლასტმასის ბოთლების შეგროვებისთვის. მოსწავლეები აღნიშნულ მოწყობილობაში ათავსებდნენ გამოყენებულ პლასტმასის ბოთლებს, რის საფუძველზეც მათ უგროვდებოდათ ქულები, რომლებიც შემდგომში იცვლებიდა სხვადასხვა ნივთებზე. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰყავდა ახალგაზრდობის მუშაკი, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. სკოლისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრაცია სწავლების პროცესში, რაც მოსწავლეებს აკავშირებდა გლობალურ სამყაროსთან - თანამშრომლობა საერთაშორისო ახალგაზრდულ და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან უზრუნველყოფდა როგორც მოსწავლეების, ისე, მასწავლებლების ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, ბანაკებში, ტრენინგებსა და გარემოსდაცვით პროექტებში.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ, სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის, დაინტერესებული პირების პოზიციის ანალიზი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, ასევე სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, კანონმდებლობის დაცვით გარკვეული საგნების პედაგოგების დასაქმება, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმება, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება და eschool.emis.ge-ზე პროფილის სრულად შევსება.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა ასევე გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადები უკვე დამდგარი იყო და დაინტერესდა, ამ მიმართულებით რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას.
სკოლის დირექტორმა, ქრისტინე კაპანაძემ, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი იყო მხარდამჭერი და მნიშვნელოვანი სკოლისთვის. რეკომენდაციებთან დაკავშირებით კი, განმარტა, რომ სკოლამ უზრუნველყო შესაბამისი კვალიფიციური კადრების, მათ შორის ექიმის შერჩევა. მისი თქმით, გათვალისწინებული ჰქონდათ 1-ელ სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციაც.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული გარემოებით, კერძოდ, ვინაიდან მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან მასწავლებლის შეფასების კითხვარი იყო ანონიმური, როგორ ხდებოდა შემდგომ იდენტიფიცირება და გამოსასწორებელ მხარეებზე მუშაობა.
სკოლის დირექტორის თქმით, მშობლისა და მოსწავლის კმაყოფილება იყო სკოლისთვის უმნიშვნელოვანესი, შესაბამისად მათი გამოკითხვა ხორციელდებოდა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ინფრასტრუქტურის. მისი თქმით, ანონიმური იყო მოსწავლისა და მშობლის სახელი და გვარი, ხოლო მასწავლებლის იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო. აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, აღნიშნული კითხვარის შედეგების ანალიზის შემდეგ, ხდებოდა თუ არა მასწავლებლების ჩანაცვლება, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში.
სკოლის დირექტორმა, ქრისტინე კაპანაძემ, განმარტა, რომ აღნიშნული კითხვარი იყო მხარდამჭერი და წარმოადგენდა გზამკვლევს, რომლითაც იდენტიფიცირდებოდა გამოსასწორებელი მხარეები. მისი თქმით, მასწავლებლის ჩანაცვლების გამოცდილება სკოლას არ ჰქონია.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე სახისგაძლიერებული მიმართულება.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად იყენებდა არაფორმალური განათლების ელემენტებს, სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, ასევე, დაწესებულებაში მუდმივად ინერგებოდა თანამედროვე ტექნოლოგიები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 14:32
დასრულების დრო: 14:39

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინოვაციების სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ინოვაციების სკოლის (სკ: 416372696) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით რევიზიის, სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებული პირების პოზიციის გაზიარების, გარკვეული საგნების (სამოქალაქო განათლების, დაწყებითი კლასების, ფიზიკური აღზრდის, მუსიკის, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ინგლისური ენის) პედაგოგების დასაქმების, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების შეთანხმების, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებისა და eschool.emis.ge-ზე სკოლის პროფილის სრულყოფილად შევსების, ხოლო 2026 წლის სექტემბერში 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

14:40 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა.

2. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, განმარტა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული სკოლის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან 2023 წელს იყო აღნიშნული სკოლის კონსულტანტი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 20 და 21 აგვისტოს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1140323

გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1000 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 715.
ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ორი სტანდარტის შეფასება და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა, სკოლის ინფრასტრუქტურის სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგების რეკომენდაცია, იმგვარად რომ ხელმისაწვდომი იყო პირველ სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზში, მეორე და მესამე სართულზე არსებულ სივრცეებში ეტლით მოსარგებლე პირთათვის.
ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა ასევე გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლას შესრულებული ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სკოლამ უზრუნველყოს ახალი მისიის და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით;
2. სკოლამ უზრუნველყოს ახალი მისიის და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის ფორმირებაში;
3. სკოლამ უზრუნველყოს ახალი მისიისა და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით;
4. სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის კომუნიკაციის სხვადასხვა არხების გამოყენებით;
5. სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება;
6. სკოლამ უზრუნველყოს 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე;
7. სკოლამ უზრუნველყოს 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიულ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების და შესაბამისი რესურსების გათვალისწინებით;
8. სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავება;
9. სკოლამ უზრუნველყოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიულ განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
10. სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გაზიარება სოციალურ ქსელში და ვებ. გვერდზე, ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწეროს შედეგების გაზიარების მექანიზმები;
11. სკოლის პედაგოგებმა უზრუნველყონ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და აგრეთვე, ცნობების უფლების ჩამორთმევის შესახებ წარმოდგენა;
12. აღჭურვოს სრულად ექიმის კაბინეტი;
13. სკოლამ უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვა, მათ შორის, სოციალური ქსელის შესაბამის გვერდზე.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ ღია სპორტული მოედანი და გასახდელები საჭიროებდა რეაბილიტაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, შესაბამისობის გეგმაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე, დაეზუსტებინა რამდენად რეალური იყო ინკლუზიური გარემოს მოწყობისთვის 1 წლიანი ვადა. სკოლის დირექტორმა, ლევან ღუწრკაიამ, აღნიშნა, რომ პასუხისმგებელ ორგანოსთან ჰქონდა აქტიური კომუნიკაცია და იმედოვნებდა, რომ 1 წელში შეძლებდნენ ადაპტირებული გარემოს მოწყობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის (სკ: 219985327) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2027 წლის სექტემბერში, 3.5 ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის ინფრასტრუქტურის სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მისადაგების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

15:05 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი

3. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრებმა, ეკატერინე გურგენაშვილმა და ირმა ამირანაშვილმა, აღნიშნეს, რომ ვერ მიიღებდნენ საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან 2024 წელს ჩართული იყვნენ აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის პროცესში. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 აგვისტოს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N121339 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 60 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 30.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის (სკოლის ფილოსოფია) შეფასება, რომელიც სტანდარტი შეფასდა, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში, სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება, შედეგების ანალიზი და გათვალისწინება, სამოქმედო გეგმის შეფასებაში დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის გათვალისწინება, შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება სკოლის ვებ-გვერდზე და აღნიშნული შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა ასევე გაიცა რჩევა, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც გათვალისწინებული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:18
დასრულების დრო: 15:23

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის (სკ: 232550744) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2025 წლის დეკემბერში, 1.1 და 1.2 კომპონენტებთან მიმართებით, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების თვითშეფასების, ანალიზისა და 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების, დაინტერესებულ მხარეთ უკუკავშირის გათვალისწინების, შედეგების საჯაროდ გამოქვეყნებისა და შესრულების შედეგები სკოლის შემდგომი განვითარებისთვის გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ- ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 160. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 160 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა მხარდაჭერას და ინიციატივების წახალისებას, სკოლის ფოიეში მოწყობილი იყო სკოლის კურსდამთავრებული ეროვნული გმირის კუთხე. ასევე, სკოლის ეზო იყო გამწვანებული მოსწავლეების, მასწავლებლებისა და კურსდამთავრებულთა მიერ.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ მე-2 და მე-3 სართულები იყო რეაბილიტირებული, ხოლო პირველ სართულს ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია, საერთო ჯამში კი, იყო მოწესრიგებული გარემო. მისი თქმით, სკოლის ეზოში მდებარეობდა გარე სპორტული მოედანი და სავარჯიშო სივრცე. ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ საქართველოს ბანკისა და სკოლის კურსდამთავრებულის ხელშეწყობით სკოლაში მოწყობილი იყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიბილიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

ექსპერტის თქმით, სკოლას არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

სკოლის დირექტორმა, ია გეგელაშვილმა, აღნიშნა, რომ არ ჰქონდათ რესურს ოთახი. მისი თქმით, სკოლა იყო მცირეკონტიგენტიანი და შესაბამისად დეფიციტური. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართავდნენ მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით შესაბამისობის გეგმით დადგენილი ვადები უკვე დამდგარი იყო და დაინტერესდა, შეასრულა თუ არა სკოლამ მიღებული რეკომენდაციები.

სკოლის დირექტორის თქმით, სამუშაო ჯგუფს დაწყებული ჰქონდა მუშაობა, თუმცა, საბოლოოდ ჯერ არ ჰქონდათ რეკომენდაციები შესრულებული.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სკოლა მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული რჩევების გათვალისწინებისთვის.

სკოლის დირექტორის თქმით, აღნიშნულზეც დაწყებული ჰქონდათ მუშაობა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის, ასევე, დაინტერესდა, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მეტად გასაუმჯობესებლად როგორ განახორციელებდა სკოლა მონიტორინგს.

სკოლის დირექტორის თქმით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, ხოლო მონიტორინგთან დაკავშირებით, გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ნინო გავაშელმა, აღნიშნა, რომ პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებით გაცემული ჰქონდა რეკომენდაცია და მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა აღნიშნულის გათვალისწინებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:39
დასრულების დრო - 15:42

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2,და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბესიკ კაპანაძის სახელობის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევიჯვარის საჯარო სკოლას (ს/კ: 240891219) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძლევიჯვარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძლევიჯვარი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძლევიჯვარი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

5. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 05 და 06 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას არსებული სივრცით შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში წახალისებული იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესები და იდეები. მისი თქმით, სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს ისრაელის საელჩოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რომელი რეკომენდაციები იყო შესრულებული სკოლის მხრიდან.
სკოლის დირექტორმა, ლორენა ჩხეტიამ, აღნიშნა, რომ 1-ელ სტანდარტთან მიმართებით მიღებული რეკომენდაცია სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა, ასევე, დაასაქმეს კვალიფიციური მასწავლებელი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, ხოლო მუსიკის მასწავლებლის დასაქმებისთვის გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო ქართული ენისა და ლიტერატურის და სპორტის მასწავლებლებთან მიმართებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ გამოაცხადეს შიდა კონკურსი და ქართულ ენასა და ლიტერატურას და სპორტს ასწავლიდნენ კვალიფიციური მასწავლებლები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, მიმართა უცხოური ენების ექსპერტს, აღნიშნული საგნების მიმართულებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოს წევრებისთვის.
უცხოური ენების ექსპერტის, ნინო ბლუაშვილის თქმით, ვიზიტის დროს გაიცა რჩევები და რეკომენდაციები და მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა აღნიშნულის გათვალისწინებისთვის. მისი თქმით, რეკომენდაციები ეხებოდა როგორც შეფასების რუბრიკებს, ასევე კურიკულუმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:05
დასრულების დრო - 16:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლას (ს/კ: 239885022) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი უშაფათი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი უშაფათი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი უშაფათი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

16:12 საათზე საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა, ეკატერინე გურგენაშვილმა და დავით კახნიაშვილმა.

6. შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ

დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 ივლისს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. მისი თქმით, ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა მოქალაქე ნ.ს-ის საჩივარი, რომელიც მიუთითებდა ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში, სკოლის ადმინისტრაციის კონკრეტული წარმომადგენლის მხრიდან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განხორციელებულ არა ერთ დარღვევაზე.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, ისაუბრა საჩივრის შინაარსზე და აღნიშნა, რომ 2023 წლის 27 მარტს შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლასა და განმცხადებელ ნ.ს. შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება და ნ.ს. დასაქმდა დაცვის თანამშრომლის პოზიციაზე. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებდა ორ ლოკაციაზე (ჭყონდიდელის ქ. №18 და ილია ჭავჭავაძის გამზირი N44 (ბ)). აღნიშნული პირისთვის სამუშაო ადგილად თავიდანვე განისაზღვრული იყო ჭავჭავაძის გამზირი N44 (ბ)-ში მდებარე ფილიალი. განმცხადებლის ინფორმაციით, სკოლაში განხორციელდა დარღვევები და გარკვეული დანაშაულიც ადმინისტრაციის კონკრეტული წარმომადგენლების მიერ მის მიმართ. ამასათანავე განცხადებას თან დაურთო ვიდეომასალა, როგორც მტკიცებულება თანამშრომლის მიერ მოსწავლეზე განხორციელებულ უხეში მოპყრობის შესახებ. განმცხადებლის მიერ დეტალურად იყო აღწერილი კონკრეტული გარემოებები, რომლითაც იგი ამხელდა სკოლას როგორც თანამშრომელთან (მის მიმართ) მიმართებაში სამსახურეობრივი უფლებების გადამეტებაში, ასევე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებზე არასწორ რეაგირებაში.
ექსპერტმა, გულიკო ხაბურზანიამ, ისაუბრა განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში გამოვლენილ ფაქტორებზე, კერძოდ:

- განმცხადებელს სკოლაში მუშაობის პერიოდში ოფიციალური საჩივრით ან მოხსენებითი ბარათით წერილობით არ მიუმართავს სკოლისთვის და არ გამოუყენებია კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები. ასევე, მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისად დროულად არ მოუხდენია რეაგირება სკოლაში გამოვლენილ დისციპლინარულ შესაძლო გადაცდომაზე. განცხადებაზე თანდართული ვიდეოების შესახებ სკოლის ინფორმირება მოახდინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სკოლის დირექტორის მოადგილესთან ხელი მოაწერა გაფრთხილების ფურცელს მიმდინარე წლის 16 ივნისს (შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება არ მოხდებოდა ვადის ამოწურვის გამო);
- სკოლის ადმინისტრაციისთვის 16 ივნისს მიწოდებული ვიდეომასალისა და სპორტის მასწავლებლის ახსნა-განმარტებითი ბარათის საფუძველზე, ამავე მასწავლებელს გამოეცხადა სასტიკი საყვედური (2025 წლის 17 ივნისის ბრძანება N01/კ-10). დაწესებულების მხრიდან მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ვერ დგინდებოდა აღნიშნული თანამშრომლის მიერ სხვა დროს განხორციელებული პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დისციპლინური სახდელი არ შეესაბამებოდა სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული სახდელის კლასიფიკაციით განსაზღვრულ სიმძიმეს;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბრძანებები დისციპლინური სახდელების შესახებ შეიცავდა ტექნიკურ უზუსტობებს, კერძოდ ბრძანების საფუძველში მითითებული იყო შინაგანაწესის პუნქტები, რომელსაც დოკუმენტი არ შეიცავდა;
- სკოლამ წარმოადგინა განმცხადებლის მიერ დირექტორის მოადგილისთვის გაზიარებულ (16.06.2025) ვიდეოფაილში მონაწილე პედაგოგის ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი იყო ორი მოსწავლის კლასიდან განრიდების 9 ეპიზოდი, მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციის გამო. მასწავლებელმა სკოლის რეგულაციების დაცვით დახმარებისთვის მიმართა უსაფრთხოების თანამშრომელს,

რომელმაც მოსწავლე ფსიქოლოგთან მიიყვანა. საგულისხმოა, რომ სკოლისთვის ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეოფაილის არსებობა ცნობილი გახდა მხოლოდ 2025 წლის 16 ივნისს, თავად ჩანაწერი კი გაკეთებულია 2024 წლის 27 მარტს;

- სკოლის შინაგანაწესის მიხედვით (მუხლი 15.13 და მუხლი 16.1.) მოსწავლეს ეკრძალება გაკვეთილზე, არასასწავლო მიზნით, მობილური ტელეფონით, აუდიო და ვიდეო საშუალებებით სარგებლობა (გაკვეთილის მსვლელობისას, არასაგაკვეთილო მიზნით). დოკუმენტი არ ითვალისწინებს ნივთის ჩაბარების ვალდებულებას, თუმცა ამის საპირისპიროდ სკოლაში ტელეფონის ჩაბარება მოსწავლეებისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებდა, რაც დასტურდებოდა როგორც განმცხადებლის მიერ, ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითაც. სკოლას ზეპირსიტყვიერად ჰქონდა მშობლებთან შეთანხმება მოსწავლეების მიერ ტელეფონების ჩაბარების თაობაზე, რასაც ადმინისტრაციული მენეჯერის გადმოცემით, მშობლები დადებითად აფასებდნენ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შინაგანაწესით განსაზღვრული წესი მოსწავლის მიერ მობილური ტელეფონის გამოყენების/სარგებლობის შესახებ, შესაბამისობაშია მოსაყვანი სკოლაში მიმდინარე პროცესთან;
- განმცხადებლის მიერ არაერთხელ არის ნახსენები მოსწავლეთა მიერ ტელეფონების ჩაბარების პროცესთან დაკავშირებული შემთხვევები. კერძოდ ნ.ს. აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი კლასის დამრიგებლის მიერ გამოითქვა ეჭვი მოსწავლის მიერ ნებაყოფლობით ჩაბარებული ტელეფონის ყუთიდან თვითნებურად ნივთის აღების შესახებ, რისთვისაც სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერის მიერ სკოლაში დაბარებული იყო მოსწავლის მშობელი. განმცხადებლის აღწერის თანახმად, აღნიშნული ფაქტი კამერების გადამოწმებით არ დადასტურდა;
- ადმინისტრაციულ მენეჯერთან დაძაბული ურთიერთთანამშრომლობის გამო, განმცხადებელი ითხოვდა სკოლის დირექტორთან შეხვედრას, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციის წევრები და განმცხადებელიც აფიქსირებდნენ, ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის ნაცვლად მის მეუღლესთან-ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორთან ი.მ-თან შეხვედრის ფაქტს. საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ დირექტორის მეუღლეს (ქ-ნ ი.მ) შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებით არ გააჩნდა რაიმე ფორმის დელეგირებული უფლებამოსილება. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ ქ-ნ ი.მ-ის დიდი მცდელობის მიუხედავად სიტუაცია უკეთესობისკენ არ შეცვლილა, რაც დასტურდებოდა განმცხადებლის მიერ როგორც განცხადებაში, ასევე ინტერვიურებისას;
- ნ.ს. განცხადებაში აღნიშნავდა მე-11 კლასელის მიერ სამი თანაკლასელისგან თავდაცვის მიზნით სკოლაში ცივი იარაღის მოტანის ფაქტს. განმცხადებელმა იმ მიზნით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლის დირექტორისთვის ცნობილი ყოფილიყო, დახმარებისთვის მიმართა სკოლის საერთაშორისო პროგრამის კოორდინატორს. როგორც ნ.ს-მ განაცხადა, იგი ითხოვდა სამსახურებრივი უფლებამოსილების სრულფასოვნად წარმოების შესაძლებლობას, რადგან თვლიდა, რომ სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ ი.ბ - საერთაშორისო პროგრამების მენეჯერი არ იყო უფლებამოსილი გადაეწყვიტა მსგავსი საკითხი. აღნიშნული დასტურდებოდა სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტითაც. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორისა და იურისტის განცხადებით, განმცხადებელს საშუალება ჰქონდა ნებისმიერ საკითხზე ყოველ პარასკევს ენახა დირექტორი საჭირო ინფორმაციის გაზიარების მიზნით ან მიემართა წერილობით, რაც არ დაფიქსირებულა. თავად განმცხადებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, ი. ბ - სთვის უსაფრთხოებაზეც რომ შეეძლო მიმართვა, ცნობილი გახდა წლის დასაწყისში თათბირზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლაში ყველა თანამშრომლის მიერ სათანადოდ არ იყო გათავისებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;

- მე-11 კლასელის ზემოთ აღწერილ ფაქტთან დაკავშირებით, როგორც განმცხადებელმა ექსპერტებთან საუბარში აღნიშნა, სკოლას მასზე არანაირი რეაგირება არ გაუკეთებია კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა სკოლის ყველა წარმომადგენელმა ვიზიტის დღეს ცალსახად აღნიშნა, რომ ფაქტის აღმოჩენისთანავე დაუკავშირდენენ ,,112"-ს. ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებული შესაბამისი მტკიცებულებები, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა;
- სკოლის დირექტორის მოადგილესთან ვიდეოფაილების გაზიარების მეორე დღეს განმცხადებელმა ითხოვა კუთვნილი შვებულება (2025 წლის 17 ივნისიდან 19 ივლისამდე), რაზეც მან უარი მიიღო. სკოლამ განმცხადებლისგან 17 ივნისს წერილობით ითხოვა ახსნა-განმარტებები ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით. წერილი მას საქართველოს ფოსტით ჩაბარდა, რაზეც სკოლამ წარმოადგინა ჩაბარების დასტური. თუმცა სკოლის მოთხოვნა განმცხადებლის მიერ რეაგირების გარეშე დარჩა.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც გაზიარებული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ და დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია დაინტერესდა, რა სახის ვიდეო მასალა იყო წარმოდგენილი მომჩივანი მხარისგან.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ვიდეო მასალა იყო ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონიტორინგის მონიტორიდან გადაღებული, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას.
აქვე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, მომჩივანი თანამშრომელი დასაქმებული იყო თუ არა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად.
ექსპერტის თქმით, მომჩივანი იყო დაცვის სამსახურის თანამშრომელი.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ დაცვის თანამშრომლის მიერ ისეთი კადრების გასაჯაროვება, რომელიც შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, იყო სრულიად მიუღებელი. აქვე დაინტერესდა, აღნიშნული პირი იყო თუ არა ისევ სკოლის თანამშრომელი.
სკოლის დირექტორის მოადგილის, ლელა ფიცხელაურის თქმით, სკოლის მხრიდან ხდებოდა ხელშეკრულების შეწყვეტა, თუმცა, ვინაიდან დაცვის თანამშრომელი იყო ქართულენოვანი, დაწესებულების მიერ შეთავაზებული იყო, რომ აღნიშნულ თანამშრომელს გადაიყვანდნენ იმ შენობაში, სადაც სწავლა ხორციელდებოდა ქართულ ენაზე. აღნიშნული საუბრის შემდგომ, დაცვის თანამშრომელმა (მომჩივანმა) სკოლის დირექტორის მოადგილეს სოციალურ ქსელში გაუგზავნა ის ვიდეო მასალები, სადაც ჩანდა მასწავლებლის მხრიდან გადაცდომები.
აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა მიმართა კითხვით დაცვის თანამშრომელს, თუ აქამდე რატომ არ აცნობა სკოლას გადაცდომების შესახებ და რატომ გაუგზავნა ერთი წლის დაგვიანებით აღნიშნული ვიდეო მასალა.
საბჭოს წევრმა, მიმართა ექსპერტს, შეეფასებინა, როგორი იყო სკოლის გარემო დირექტორთან კომუნიკაციის მიმართებით, იყო თუ არა ჩაკეტილი წრე.
ექსპერტის, გულნარა ხაბურზანიას განმარტებით, სკოლაში იყო ძალიან მეგობრული და თანამშრომლობითი გარემო, მოსწავლეთა საჭიროებებზე რეაგირება ხდებოდა მალევე და დირექტორთან და დირექციასთან კომუნიკაცია შესაძლებელი იყო ნებისმიერ დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:42
დასრულების დრო: 16:53

საბჭოს წევრების სათათბირო შესვენებიდან დაბრუნების შემდგომ, საბჭოს სხდომაზე პოზიციის დაფიქსირება ითხოვა დაინტერესებულმა პირმა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ დაინტერესებულ პირს მისცა პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა.
დაინტერესებული მხარის წარმომადგენელმა, თ.თ-მ, აღნიშნა, რომ დაცვის თანამშრომელს მუდმივად ჰქონდა კომუნიკაცია დაცვის სამსახურის ცენტრალურ ოფისთან, ასევე, კომუნიკაცია ჰქონდა სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან და მისი თქმით, დაცვის თანამშრომელი ფიზიკურად ვერ ნახულობდა სკოლის დირექტორს, ასევე, სკოლაში არ არსებობდა პერსონალური მონაცემების დაცვის რაიმე მარეგულირებელი დოკუმენტი და ნებისმიერ პირს ჰქონდა წვდომა მონიტორებზე, იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და სკოლის პოზიციაზე.
სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ, აღნიშნა, რომ სკოლას ფუნქციონირების განმავლობაში, მსგავსი საჩივარი არ ჰქონია. აქვე, განმარტა, რომ თ.თ იყო მომჩივანი თანამშრომლის მეუღლე, პროფესიით იურსტი და მისი თქმით, უნდა სცოდნოდა, რომ ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში სკოლის დირექცია საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა იმ დროსვე და არა მას შემდეგ, როცა სკოლა გათავისუფლების შესახებ შეატყობინებდა ორი თვით ადრე. სკოლის იურისტის თქმით, მომჩივანი აშანტაჟებდა დაწესებულებას, რომ მისი გათავისუფლების შემთხვევაში უჩივლებდა სკოლას. მან, აქვე განმარტა, რომ სკოლის ყველა თანამშრომლისთვის ცნობილი იყო უფლებრივი დაქვემდებარება, თუ ვინ რა საკითხს კურირებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის (სკ: 202937983) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ საბჭომ იხელმძღვანელა კომპეტენციის ფარგლებში, დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და ვინაიდან სტანდარტი, რომელიც საბჭოს განხილვის პასუხისმგებლობაა, იყო შესაბამისობაში, ასევე, არ დადასტურდა წერილში ასახული გარემოებები, მიიღეს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:05 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ელექტრონული
ფურცელი
ელექტრონულად